



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ნოდარ კოჭლაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:
პროფესორი

ლიკა საჯაია

შინაარსი

შინაარსი	2
ანოტაცია	4
Annotation.....	5
შესავალი	6
თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა	8
თავი II: განსჯადობის არსი საქართველოს კანონმდებლობაში	9
2.1 უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის გამიჯნვა	9
2.2 საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა სამოქალაქო.....	12
განსჯადობის შესახებ.....	12
2.3 განსჯადობა საკონსტიტუციო სასამართლოში	17
თავი III: განსჯადობის სახეები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.....	18
3.1 საგნობრივი განსჯადობა	19
3.2 ტერიტორიული განსჯადობა.....	20
3.3 ინსტანციური განსჯადობა.....	23
თავი IV: სამოქალაქო საქმეების განსჯადობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.....	25
4.1. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები	26
4.2. საოჯახო დავები	27
4.3. შრომითი დავები.....	28
4.4. საადგილმამულო დავები	29
4.5. ბუნებრივი რესურსების გამოყენებიდან წარმოშობილი დავები	30
4.6. საქმეები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის.....	31
4.7. უდავო წარმოების საქმეები	31
4.8. ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეები	32
4.9. შვილად აყვანის საქმეები	34
4.10. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებულ საქმეები ..	34
თავი V: სამოქალაქო განსჯადობა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე.....	35

5.1. ევროპის კავშირი.....	36
5.1 გერმანია.....	39
5.2 ამერიკის შეერთებული შტატები	41
5.3 გაერთიანებული სამეფო.....	42
5.4 შვეიცარია	44
5.5 ავსტრალია	46
თავი VI. კვლევის შედეგები.....	48
დასკვნა	50

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომი განიხილავს სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეებს. იმის გამო, განსჯადობა როგორც კანონით, ისე სასამართლო პრაქტიკით დასადგენი ცნებაა, საკვლევ თემას თითოეული მიმართულებით მიმოვიხილავ.

შესავალში დასახული იქნება ნაშრომის მიზნები და ამოცანები, რომლის მიღწევაც საკითხის კვლევის დასასრულს უნდა იყოს შესაძლებელია.

ნაშრომის შემდეგი თავები უშუალოდ შეეხება საკვლევ თემას, მეორე თავი მიძღვნილი იქნება არსობრივი კვლევისკენ და მონათესავე ცნებების გამორკვევისკენ, რომელთაც, კავშირი აქვთ საკვლევ თემასთან. ამასთან, საჭირო იქნება მათი ძირითადი თემისგან გამიჯნვა.

საკითხვის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, ფართოდ მიმოვიხილავ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უშუალოდ განმარტავს სამოქალაქო საქმეების განსჯადობას, რამდენადაც ვფიქრობ, რომ განსჯადობის არსის დადგენი საუკეთესო წყარო, სწორედ სასამართლოს პრაქტიკა და განმარტებებია. კვლევის შემდგომ ეტაპზე განვიხილავ იმ საქმეებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის მიმხედვით უშუალოდ ექვემდებარება გნსახილველად სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიებს. მომდევნო თავებში მიმოვიხილავ კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივ ტრადიციას განსჯადობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოაჩენს განსჯადობის, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა/განვითარებას სამართლებრივ ურთიერთობებში.

დასკვნის სახით წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საბოლოო ანალიზი, რომელიც ხაზს გაუსვამს საკითხის ზოგად მნიშვნელობას და ერთგვარად შეაჯამებს კანონის, სასამართლო პრაქტიკისა და თეორიის ურთიერთქმედებას, განსჯადობის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტის შესახებ. საბოლოოდ, ნაშრომი სამომავლოდ დაეხმარება პირებს განსჯადობასთან დაკავშირებული სირთულეების უფრო მარტივად გადაწყვეტაში.

Annotation

The represented paper is about cases under civil court jurisdiction. Because the jurisdiction is regulated not only by legislation but also by case law, I'll try to review each direction of the matter.

An introduction declares aims and goals of the work, which must be achieved in the end of the research.

The next chapters are about the topic directly. The second chapter is dedicated to the research of essence of topic and finding boundary concepts, which have in common with the main topic. In addition, division of boundary topics from the main, will be necessary.

According to the practical meaning of the topic, I vastly consider the decisions of the courtm which directly interpretes jurisdiction of civil cases, because in my sight, court precedents are the best possible source to define an essence of jurisdiction. In the next steps of the research I consider the cases, which are under the civil jurisdiction of the courts, according to the legislation in Georgia. After that, I make a review of the judicial tradition regarding jurisdiction in the Civil and Common laws.

In the conclusion an ultimate analysis is represented, which underlines to the common meaning of the topic of research. The conclusion summarizes the interaction of legislation, case law and theory to judge practically challengdes of jurisdiction. In the end, the research will be helpful for every interested partes to solve more easily problems about civil jurisdiction.

შესავალი

როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, განსჯადობა იმსახურებს ყურადღებას როგორც საკითხის გარშემო თეორიული დისკუსიის გაჩენის, ასევე, მისი პრაქტიკული გამოყენების ეფექტიანობის მიზნით. როგორც უშუალოდ ნაშრომი გვაჩვენებს, განსჯადობის გარშემო წარმოშობილი დავები არც ისე იშვიათია. სწორედ იმის გამო, რომ მოსარჩელებსა და მათ წარმომადგენლებს უფრო ცხადი და ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ განსჯადობის ცნების გარშემო, საჭიროა მისი უფრო კვალიფიციური და საფუძვლიანი კვლევა, რომლის ერთ-ერთი მცდელობა, სწორედ მიმდინარე ნაშრომი იქნება.

განსჯადობის სწორად გაგება იმდენადაა სამოქალაქო პროცესში მნიშვნელოვანი, რამდენადაც, მასზეა დამოკიდებული სასამართლოში დავის დაწყება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ერთის მხრივ პირდაპირ ჩამოთვლის სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეებს, თუმცა, ეს იურიდიული მოცემულობა რომ ასეთი მარტივი იყოს, მის გარშემო უზენაეს სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებების გაკეთება არ მოუწევდა. კერძოდ, დავების სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა თუ რომელია განსჯადობის კუთხით მართებული კოლეგია, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული. სწორედ ეს ფაქტორები უსვამს ხაზს მის აქტუალობას და უფრო დაწვრილებით შესწავლის აუცილებლობას.

უნდა ითქვას, რომ სასამართლოების განსჯადობის მიხედვით დაყოფა პირველად ქართულ რეალობაში არ გაჩენილა, არამედ მას ვრცელი წინარე ისტორია აქვს როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის სისტემის ქვეყნებში. კერძოდ, გერმანიის მაგალითზე, გარდა სამოქალაქო-ადმინისტრაციული დაყოფისა, არსებობს შრომითი და სოციალური დაცვის დავების ცალკე სექცია,¹ შეერთებულ შტატებში ვხვდებით ცალკე გამოყოფილ საგადასახადო და ვეტერანთა საქმის მიმართულებას,² ხოლო კანადაში, საოჯახო საქმეებისა და ერთგვარი მცირე დისპუტების ცალკეულ მიმართულებას.³ ცხადია, ასეთი სპეციალიზაცია მოსამართლეთა უფრო სპეციალური

¹ ხელმისაწვდომია აქ: <http://www.bundesarbeitsgericht.de/englisch/general.html>

² ხელმისაწვდომია აქ: <https://www.uscourts.gov/about-federal-courts/court-role-and-structure>

³ ხელმისაწვდომია აქ: <https://www.ontariocourts.ca/scj/about/jurisdiction/>

ცოდნით საქმიანობას ემსახურება, რისი მთავარი მიზანიც, სამართლიანი და კანონის არსთან დაახლოებულ გადაწყვეტილებების მიღება უნდა იყოს.⁴

ამდენად კვლევის მიზანია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეების მიმოხილვა-დახასიათება, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, რომლის მეშვეობითაც დავადგენთ მიჯნას სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების განსჯადობის შესახებ და მიმოვიხილავთ საერთაშორისო პრაქტიკას, თუ როგორ განიხილავენ სასამართლოები სამოქალაქო დავებს და ანიჭებენ თუ არა ისინი უპირატესობას სპეციალურებულ სასამართლოებს სამოქალაქო დავების გადაწყვეტისთვის.

კვლევის ამოცანა არის მეტი აკადემიური ცოდნის გაჩენა საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, წარმოჩენა, ახლავს თუ არა თან საქართველოში არსებულ სასამართლო სისტემას განსჯადობის თაობაზე რაიმე პრობლემატიკა და ხომ არ საჭიროებს ქართული რეალობა განსხვავებულ მოწესრიგებას რომელიმე მიმართულებით.

კვლევის მეთოდი დაფუძნებული იქნება საკითხის გარშემო მატერიალური, საპროცესო კოდექსების სრულყოფილ შესწავლაზე, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვაზე და ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო გამოცდილებაში დაგროვებული, თეორიული ცოდნის გააზრებაზე.

⁴ Dr. Heike Gramckow and Barry Walsh, „Developing Specialized Court Services – International Experience and Lessons Learned“, The World Bank, 2013, p. 3

თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა

საკითხის ფართო მასშტაბიდან გამომდინარე, ნაშრომი დატვირთულია სხვადასხვა ლიტერატურული სეგმენტებით, რაც მოიცავს როგორც უშუალოდ თეორიულ მასალას, ნაშრომებისა თუ კომენტარების სახით, ასევე, საკანონმდებლო ბაზას, სასამართლო პრაქტიკას. გარდა ამისა, ნაშრომში ფართოდაა მიმოხილული არაქართულენოვანი ლიტერატურა, როგორც კოდექსების, ასევე სხვადასხვა კანონებისა თუ რეგულაციების თვალსაზრისით. ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა სრულიად რელევანტურია, რამდენადაც პირდაპირ ეხება საკვლევ საკითხს. იმის გამო, რომ საქართველოში სამოქალაქო განსჯადობასთან დაკავშირებით ნაკლებად არსებობს თეორიული მასალა და კვლევები შედარებით მწირია, საჭირო გახდა დამხმარე წყაროების გამოყენება მომიჯნავე დარგების სახელმძღვანელოების სახით, თუმცა, მათ ნაშრომში ჩართვა ამარტივებს კვლევის პროცესს და საკითხს უფრო მკაფიოსა და აღქმადს ხდის. კერძოდ, კვლევაში გამოყენებულია ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოს“

კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა სასამართლო პრაქტიკის გაცნობა-ანალიზს, რამდენადაც, ქართულ რეალობაში განსჯადობის პრაქტიკული გამოყენება, დიდწილად სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით ხდება. სამოქალაქო დავებზე მსჯელობისას ასევე გამოყენებულია შესაბამისი დავის რელევანტური მიმოხილვა და ზოგიერთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიც.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკული მიმოხილვისათვის მასალები გამოყენებულია მაღალი სიზუსტით, კერძოდ, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩატარებული კვლევა, ევროპის კავშირის კანონმდებლობა და კონკრეტული სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტები.

თავი II: განსჯადობის არსი საქართველოს კანონმდებლობაში

2.1 უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის გამიჯნვა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განიხილავს როგორც უწყებრივი ქვემდებარეობის, ასევე განსჯადობის ცნებებს. ერთი შეხედვით ისინი ერთმანეთის იდენტურია და იმეორებს პრინციპებს, თუმცა, მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს. განსჯადობის ეს სახე *საგნობრივი* განსჯადობის სახელით არის ცნობილი, რამდენადაც, მისი საშუალებით სასამართლო სისტემის რგოლებს შორის, რელევანტური კოლეგია დგინდება. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და სასამართლოს განსჯადობის ცნებათა არაერთგვაროვანი გამოყენების და მათი არსობრივად აღრევის გამო ადგილი აქვს განსჯადობის დავების ფარგლების მეტისმეტად განვრცობას, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის საგნობრივი განსჯადობის საკითხის ფაქტობრივად გადაზრდას უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხში, რაც პრაქტიკაში იწვევს საქმის ამა თუ იმ კატეგორიის კუთვნილებაზე მსჯელობას, განსჯადობის გადამოწმებას სასამართლოს ინიციატივით საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, ყველა ინსტანციაში, ამის თაობაზე მხარეთა მოთხოვნის არსებობის მიუხედავად, რის შედეგადაც ადგილი აქვს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებას.⁵ აღნიშნულს ემატება განსჯადობის შესახებ დავების ზრდის მკვეთრად გამოხატული დინამიკა. ასე მაგალითად, თუ თუ 2001 წელს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ განხილული იქნა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ 21 დავა, 2004 წელს - 95, ხოლო 2006 წელს ამ კატეგორიის საქმეთა ოდენობამ 133 მიაღწია. აღნიშნულს ემატება საქმის არსებითი განხილვისას ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ განსჯადობის საკითხის საკუთარი ინიციატივით განხილვა-გადაწყვეტა.⁶ ამდენად, ნაშრომში დასახული მიზანი, რაც გულისხმობს სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეების გარშემო მსჯელობას, ვერ იქნება ჯეროვნად მიღწეული, თუკი მკაფიოდ არ მოხდება ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან გამიჯნვა, რამდენადაც, მათ შორის განსხვავება ხშირად იწვევს დავას. შესაბამისად, შესრულებული ნაშრომში გაცილებით მკაფიოდ იქნება აღქმული, თუკი იგი დამღევს და გაფანტავს უწყებრივი ქვემდებარეობა-განსჯადობას შორის არსებულ ბუნდოვანების მომენტს.

⁵ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 164

⁶ იქვე, გვ. 164

უწყებრივი ქვემდებარეობა გულისხმობს და განიხილავს სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ორგანოს მოქმედების სფეროს, მის ადგილს ხელისუფლების დანაწილებისა (Separation of Powers) თუ შეკავება-გაწონასწორების მექანიზმში (Checks and Balances). **უწყებრივი ქვემდებარეობა - ესაა იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობა და ფარგლები, რომელიც ამა თუ იმ ორგანოს აქვს განსაზღვრული.**⁷ მაშასადამე, უწყებრივ ქვემდებარეობაში მოიაზრება საქმის განხილვის დაქვემდებარება რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს, ან სასამართლოსთვის. იგი პასუხობს კითხვაზე, განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს და შედის თუ არა საქმე საერთო სასამართლოების კომპეტენციაში.⁸ კერძოდ, თუკი პირს ესაჭიროება მშენებლობის ნებართვის მიღება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად და იგი მიმართავს სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სასამართლო მის სარჩელს/საჩივარს არ განიხილავს და გადაამისამართებს პირობითად, ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში. უწყებრივი დაქვემდებარების არსი დეტალურადაა განსაზღვრული ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომლის ფარგლებშიც, სარჩელის სასამართლოში წარდგენამდე, პირი ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მეშვეობით იდავოს ადმინისტრაციულ ორგანოში. ამდენად, უწყებრივი ქვემდებარეობის არსის გათავისება უმნიშვნელოვანესია ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციის გამიჯვნისათვის და დავებისთვის სწორი მიმართულების მიცემისათვის.

სწორედ იმავე მიზანს ისახავს განსჯადობის არსიც, თუმცა, ამ შემთხვევაში, უკვე საქმე ეხება უშუალოდ საერთო სასამართლოებს შიგნით, დავებზე კომპეტენციის გადანაწილებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას შემდეგ, რაც მოსარჩელე გადალახავს უწყებრივი ქვემდებარეობის ბარიერს და საქმე შევა სასამართლოში, იქ წამოიშობა მისი განსჯადობის საკითხი, რომელიც წყდება უშუალოდ სასამართლოს მიერ. მაშასადამე, ქვემდებარეობისგან განსხვავებით, განსჯადობა ასევე განსაზღვრავს უფლებამოსილებას, მაგრამ მხოლოდ სასამართლოებს შორის.⁹ პრაქტიკაში, განსჯადობის შესახებ პრობლემა დგება სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიების განსახილველი საქმეების კუთხით, როდესაც, შესაძლოა, მოსარჩელემ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე სასამართლოს კოლეგია სწორად ვერ შეარჩიოს. სარჩელის სწორი მიმართულების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს

⁷ ვ. ხრუსტალი, თ. ლილუაშვილი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, გვ. 23

⁸ იქვე, გვ. 28

⁹ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 141

სასამართლო, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება გახდეს სასამართლოებს შორის რაიმე დავის საგანი.

მიუხედავად ჩვენ მიერ წარმოჩენილი განსხვავებისა, კონკრეტულად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ჩანაწერიდან გამომდინარე, უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხი ურთიერთკავშირით უნდა დავადგინოთ. კერძოდ, თუკი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის I ნაწილს გავეცნობით აღმოვაჩინოთ, რომ რაიონული სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ **სამოქალაქო** საქმეებს. ეს ნიშნავს, რომ თუკი სამოქალაქო საქმე უწყებრივად ექვემდებარება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, იგი ავტომატურად არის იმავე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი. პარალელი რომ გავავლოთ, იმავეს შევხვდებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომლის მე-5 მუხლის I ნაწილის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ **ადმინისტრაციულ** საქმეებს. თუმცა, იმავე კოდექსში, განსჯადობის საკითხი უფრო ცხადად რეგულირდება და პირდაპირ განისაზღვრება მე-2 მუხლის ჩამონათვალით. ჩვენს შემთხვევაში, განსჯადობის ზოგადი პრინციპის დასადგენად, უნდა მივყვეთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ლოგიკას, რომლის მე-11 მუხლიც აწესრიგებს სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოსადმი. თუკი იმავე კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი **უწყებრივად დაქვემდებარებულ** სამოქალაქო საქმეებს, გამოდის, რომ სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეები იმავე კოდექსის მე-11 მუხლში, უწყებრივი ქვემდებარეობის ჩამონათვალში შეგვიძლია ვიპოვოთ. შესაბამისად, სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეებია: სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის; საქმეები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის; უდავო წარმოების საქმეები; შვილად აყვანის საქმეები და აღნიშნულ მუხლში მითითებული სხვა საქმეები.¹⁰

¹⁰ იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი

2.2 საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა სამოქალაქო განსჯადობის შესახებ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ რეალობაში, განსჯადობის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რომელი კოლეგიის განსახილველია საქმე საერთო სასამართლოებში - სამოქალაქოს თუ ადმინისტრაციულის. ამ მხრივ საინტერესოა მიმოვიხილოთ უშუალოდ სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები და გავეცნოთ, თუ როგორ და რის მიხედვით აკუთვნებს იგი სასამართლოს რომელიმე კოლეგიას, კონკრეტულ დავას. ვფიქრობ უნდა აღინიშნოს, რომ განსჯადობის ცნების გამორკვევისა და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ამ საკითხის შესახებ, ხოლო უფრო კონკრეტულად, საკასაციო სასამართლოს განმარტებები. ამიტომ, ნაშრომში საკმაოდ ვრცლად დაეთმობა ყურადღება საკითხის გარშემო განხილულ დავებს, რათა მისი ფუნდამენტურად შესწავლა გახდეს შესაძლებელი.

თუკი განსჯადობის თაობაზე ქართულ რეალობაში ძირითადად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კოლეგიებს შორის დავების გადაწინაწილებას ვხვდებით, მარტივად სავარაუდოა, რომ არაერთხელ უნდა გამხდარიყო მსჯელობის საგანი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები, რომელთა ფარგლებშიც, კოლეგიებს შორის პირდაპირ განსხვავების დადგენა შედარებით რთულია. საყურადღებოა, რომ ასეთი დავები წყდება რომელიმე კოლეგიის წარდგინებით საკასაციო სასამართლოში, რომელიც, თავის მხრივ დავას წყვეტს დასაბუთებული განჩინებით.¹¹

ასეთი მაგალითი იყო 2010 წლის 20 იანვრის განჩინება, როდესაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (შემდგომში: ადმინისტრაციული კოლეგია), საქმე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაამისამართა, რომელმაც, თავის მხრივ საქმე წარადგინა საკასაციო სასამართლოში, განსჯადი სასამართლოს დასადგენად. გავეცნოთ საქმის გარემოებებს.

2009 წლის ივნისში, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა (შემდგომში: სსიპ) „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა“ სარჩელით მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

¹¹ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 26-ე მუხლის III ნაწილი

საქმეთა კოლეგიას. სარჩელის მიხედვით, დავის საგანი იყო ხელშეკრულებით შეუსრულებელი ვალდებულების გამო, აუქციონის წესით, საგარანტიო ნივთის რეალიზება, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულმა კოლეგიამ საქმე გადაამისამართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასთან (შემდგომში: სამოქალაქო კოლეგია). საქმე იმაში იყო, რომ სსიპ „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტს“ კერძო პირთან დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება ვენახის გაშენების მიზნით, რაც, ამ უკანასკნელმა დაარღვია. ბუნდოვანების ძირითადი მიზეზი გახლდათ ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც სსიპ-ის მიერ იყო დადებული. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, ხელშეკრულების ასეთი სახეობიდან გამომდინარე და ასევე იმის გამო, რომ დავის ერთ-ერთი მხარე სსიპ-ი იყო, მიიჩნია, რომ საქმე გახლდათ ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადი. შესაბამისად, მან არ გაითვალისწინა ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებები, არ განაგრძო საქმის განხილვა და იგი წარადგინა საკასაციო სასამართლოში, განსჯადი სასამართლოს დადგენის მიზნით.

ჭეშმარიტება საქმეზე საკასაციო სასამართლომ შემდეგნაირად დააგინა: მისი განმარტებით, „ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ - ხელშეკრულების მიზანს. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი.“¹² საკასაციო სასამართლოს მიერ ხაზგასმული იქნა კერძო პირის ვალდებულებით ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიიშვა სსიპ-ის მიმართ. დავის საგანი წარმოიშვა ამ ვალდებულების შეუსრულებლობით, რომელიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და კავშირი არ ჰქონია საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან. შესაბამისად, „სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება, 18ს-1460-1394(გ-09), მოსამართლეები: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), მ. ვაჩაძე, პ. სილაგაძე

ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება.¹³ ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იმპერატიულად განმარტავს, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.¹⁴ როგორც ვხედავთ, მხოლოდ ტენდერის ჩატარებისა და სსიპ-ის ხელშეკრულებაში მონაწილეობის ფაქტი, არ გულისხმობს საქმის ადმინისტრაციული კოლეგიისთვის განსჯადობისთვის მიკუთვნებას. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ის მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.¹⁵ იმის გამო, რომ ხელშეკრულება არ შეიცავდა ადმინისტრაციული მმართველობითი ღონისძიების ჩატარების ვალდებულებას და შემოიფარგლებოდა ხელშეკრულების საგნისადმი თანაბარუფლებიანი სუბიექტების შეთანხმებით, იგი უნდა მიკუთვნებულიყო სამოქალაქო კატეგორიისთვის.

სასამართლოს კოლეგიებს შორის განსჯადობის საკითხის მიმართ განსხვავებული არგუმენტების წარმოსაჩენად კიდევ ერთი საქმის განხილვა, ვფიქრობ ნაშრომში უკეთ წარმოაჩენს პრობლემის აქტუალობას და სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, რომელიც ნათელს გახდის საკვლევ საკითხს. მეორე განსახილველ დავაში, მოსარჩელემ მოითხოვა ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება, მოპასუხე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში: სამინისტრო) მხრიდან, ხოლო სამინისტრომ, თავის მხრივ მოსარჩელეს შეგებებული სარჩელით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ჯეროვნად შესრულება მოითხოვა. წინა დავის მსგავსად, აქაც საქმე ეხებოდა კერძო პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობას, რომელთა შორის, ურთიერთობა მოწესრიგდა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ ადმინისტრაციული ორგანო დავაში მონაწილეობდა, დაისვა კითხვის ნიშანი ხელშეკრულების ხასიათთან დაკავშირებით, თუმცა, „სადავო ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის ხელშეკრულებაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, აუცილებელია ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, რადგან ხელშეკრულების

¹³ იქვე

¹⁴ იხ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის II ნაწილის მეორე წინადადება.

¹⁵ პაატა ტურავა, ნათია წიკვაძე, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“ [მეორე გამოცემა], გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, გვ. 155

მიზანი საჯარო უფლებამოსილებაში უნდა ვლინდებოდეს.¹⁶ საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.“ [...] „მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიზანი არ არის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულება ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელება. წინამდებარე შემთხვევაში მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა დაფუძნებულია არა ადმინისტრირების პრინციპზე, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიან პარტნიორობაზე.“¹⁷ აღნიშნული განმარტებით კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ თუკი ხელშეკრულება მხარეებს განიხილავს, როგორც თანასწორუფლებიან სუბიექტებს და მათი უფლება-მოვალეობები ხელშეკრულებით რეგულირებული საკითხების მიმართ დაფუძნებულია კერძოსამართლებრივ პრინციპებზე, მნიშვნელობა არ აქვს ერთ-ერთი მხარე არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო. ასეთ შემთხვევაში საქმე არის სამოქალაქო კოლეგიის განსჯადი.

ვფიქრობ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დავის ანალიზი განსჯადობის დადგენასთან დაკავშირებით, რამეთუ, განსჯადობის, როგორც საკვლევი საკითხის ძირითადი მიზანი, სწორედ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოებს შორის სწორი კოლეგიის შერჩევაა. მორიგი ასეთი დავა შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კერძო პირს შორის დადებულ ხელშეკრულებას. განსახილველ დავაში წარმოდგენილია არგუმენტები როგორც ინსტანციური განსჯადობის დადგენისათვის, ასევე, „განსაკუთრებული განსჯადობის“ ცნების გამოსარკვევად, რომელსაც, საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლი ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი განამრტავს, რომ „ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.“¹⁸ განსახილველ საქმეში სიღნაღის რაიონული სასამართლოს დასაბუთებით, საკითხი უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ და გადამისამართებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოში. ეს იმიტომ, რომ საქმე ეხებოდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ხოლო ეს ხელშეკრულება შესრულებულიყო იყო თბილისში სოფლის მეურნეობის

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება, 18ს-103-102(გ-10), მოსამართლეები: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნ. სხირტლაძე, ლ. მურუსიძე

¹⁷ იხ. იქვე

¹⁸ იხ. საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი

სამინისტროსა და ჯ. ხ-შვილს შორის. თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სადავო გარემოებები სხვაგვარად დაასაბუთა. კერძოდ, მისი განმარტებით, „განსახილველ დავაში მოსარჩელეს - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოპასუხეს ჯ. ხ-შვილი, ხოლო დავის საგანს - სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს.“¹⁹ როგორც განმარტებაშია აღნიშნული, „საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.“²⁰ აღნიშნული განმარტება აქარწყლებს რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ რადგანაც ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, განსჯადი სასამართლოც თბილისის საქალაქო სასამართლო უნდა იყოს, რადმდენადაც, საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთ დავებში საქმე განიხილება ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით. რაც შეეხება *საგნობრივი* განსჯადობის საკითხს, როგორც სასამართლომ განმარტა, „საკასაციო სასამართლო სარჩელის შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის, რომლის სამართლებრივ საფუძველს მათ შორის დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება წარმოადგენს.“²¹ [...] „საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება.“²² [...] „საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არ ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და სადავო სამართალურთიერთობა რეგულირების საგნის, საფუძვლის, შინაარსის გათვალისწინებით კერძოსამართლებრივ (ჰორიზონტალურ) ურთიერთობას განეკუთვნება.“²³ ამდენად, *საგნობრივი* განსჯადობის დადგენისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს, ადმინისტრაციული ორგანო თუ რა სახით მონაწილეობს ხელშეკრულებაში. თუკი სამართლებრივ ურთიერთობაში არ იკვეთება

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინებაზე, საქმეზე: ¹ბს-417-404(გ-10), მოსამართლეები: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნ. ქადაგიძე, პ. სილაგაძე

²⁰ იქვე, იხ. სამოტივაციო ნაწილი

²¹ იქვე, იხ. სამოტივაციო ნაწილი

²² იქვე, იხ. სამოტივაციო ნაწილი

²³ იქვე, იხ. სამოტივაციო ნაწილი

ვერტიკალური დაქვემდებარების პრინციპი და მხარეები ხელშეკრულების საგნის მიმართ იმყოფებიან თანაბარ, ჰორიზონტალურ პოზიციაში, ასეთ დროს საქმე უნდა განიხილოს საქოქალაქო საქმეთა კოლეგიამ.

2.3 განსჯადობა საკონსტიტუციო სასამართლოში

განსჯადობაზე მსჯელობისას, ვფიქრობ მნიშვნელოვანია ორიდ სიტყვით შევეხოთ საკონსტიტუციო სასამართლოს როლს და ერთგვარად გავმიჯნოთ მისი და კომპეტენცია საერთო სასამართლოებისგან, შესაძლო ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სპეციალიზებული სასამართლოა, რომლის ძირითადი ფუნქციაც, საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენაა, რომლებიც, არამართლზომიერად ზღუდავენ ან შესაძლოა შეზღუდონ პირთა უფლებები. ეს პროცესი სამართლებრივ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც საკონსტიტუციო კონტროლი და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს „სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების არსებობის შემთხვევაში სათანადო ზომების გატარება.“²⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციების დეტალური განხილვა ნამდვილად გასცდება ნაშრომის ძირითად მიზნებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი განსხვავებული ბუნება საერთო სასამართლოებთან, სწორედ საკონსტიტუციო მნიშვნელობის დავებია, რაც უკავშირდება როგორც ადამიანის უფლებებს, ასევე პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის კანონიერებას ან პოლიტიკური თანამდებობის პირთა ქმედებების კონსტიტუციურობასა და სხვ.²⁵ მაშასადამე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი დავები ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას.²⁶

უფრო კონკრეტულად რომ განიმარტოს, განვიხილოთ ერთ-ერთი დავა, რომელიც გადაწყვიტა საკონსტიტუციო სასამართლომ. მიუხედავად იმისა, რომ დავა ეხებოდა საოჯახო ურთიერთობებს და ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთობას, იგი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იყო.

²⁴ გიორგი კახიანი, „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 25

²⁵ იქვე, გვ. 28

²⁶ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 57

ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მოსარჩელეს, გასაჩივრებული ჰქონდა კანონმდებლობაში არსებული ის ნორმა, რომელიც, მას ბავშვის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანას უკრძალავს. კერძოდ, ასეთია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები. იმის გამო, რომ მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა არა მასსა და მეორე მშობელს შორის უშუალო ურთიერთობას, არამედ საკანონმდებლო აქტის კონკრეტული ნორმის კანონიერებას, საკითხი დაექვემდებარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. განსჯადი სასამართლოს განმარტების მიხედვით, იმის გამო, რომ არსებობს რისკები ბავშვის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განვითარებასთან დაკავშირებით, შეზღუდვები მისი გადაადგილების შესახებ ლეგიტიმურად იქნა ცნობილი.²⁷ აქედან გამომდინარე, კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და ხაზგასასმელია მისი სპეციალური განსჯადობის შესახებ.

თავი III: განსჯადობის სახეები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N2/10/1212, II-13

ვიდრე უშუალოდ გადავალთ სამოქალაქო სასამართლოში განსჯად ცალკეულ საქმეებზე, ვფიქრობ მნიშვნელოვანია იმის ცხადად წარმოჩენა, თუ რა სახის განსჯადობას ვხვდებით ქართულ სამართლებრივ სისტემაში და როგორ ხდება მათი გამიჯნვა. დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ძირითადად ვხვდებით საგნობრივ, ტერიტორიულ და ინსტანციურ განსჯადობას. უნდა ითქვას, რომ საგნობრივი განსჯადობა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კოლეგიებს შორის კომპეტენციის გამიჯნვის ნაწილში უკვე ფართოდ განვიხილეთ. თუმცა, ნაშრომის ფორმალური მხარე მოითხოვს მის ცალკეულ, ვრცელ განმარტებას. შესაბამისად, აღნიშნულ თავში განსჯადობის ძირითად სახეებზე და მათ თავისებურებებზე იქნება საუბარი.

3.1 საგნობრივი განსჯადობა

თუკი სასამართლო პრაქტიკის გარდა განსჯადობის ამ სახეს თეორიული შრომით დავასაბუთებთ, აღმოვაჩენთ, რომ საგნობრივ განსჯადობად ითვლება იმ სასამართლოსადმი საქმეების განსჯადობა, რომელიც სასამართლო სისტემის სხვადასხვა რგოლებს განეკუთვნება.²⁸ საგნობრივი განსჯადობის ძირითადი მიზანი ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიების შორის, დავის განსახილველად მართებული კოლეგიის ამორჩევაა, რამდენადაც, როგორც უკვე ვნახეთ, ხშირია სასამართლოებს შორის გაურკვეველობა აღნიშნულთან დაკავშირებით. ვფიქრობ, საგნობრივი განსჯადობის გამოსარკვევად, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მიჯნას კერძო და საჯარო სამართალს შორის. „კერძო სამართალში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მხარეთა ნება, რის გამოც კერძო სამართალს, როგორც წესი აქვს დისპოზიციური ხასიათი. საჯარო სამართალი ემსახურება სახელმწიფო უფლებამოსილებების დასაბუთებას და განსაზღვრას, რის გამოც, საჯარო სამართლის ნორმები უპირატესად იმპერატიული ხასიათისაა, სამართალურთიერთობები მათი ობიექტური არსობრივი შინაარსის მიხედვით განიმარტება. მხარეთა ნებას, როგორც წესი, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.“²⁹ როგორც ავტორი გადმოგვცემს, თუკი სახელშეკრულებო ურთიერთობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას აქვს, ანუ მხარეები თანაბარუფლებიანები არიან მისი შესრულების დროს, ამ შემთხვევაში დავა კერძო

²⁸ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 148

²⁹ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 161

სამართლებრივი ბუნებისაა, რაც ნიშნავს მის მიკუთვნებას სამოქალაქო სასამართლოსთვის. საგნობრივი განსჯადობის დადგენა, სამოქალაქო დავის დაწყების წინაპირობა და ამოსავალია, რამდენადაც, სასამართლოსთვის მიმართვა თავისთავად დამოკიდებულია მხარეებს შორის წარმოშობილ უთანხმოებაზე. შესაბამისად, სასამართლოსადმი მიმართვამდე, მხარე უნდა დარწმუნდეს, თუ რომელი კოლეგიის განსახილველია საქმე, რათა იგი გადამისამართებული სხვა სასამართლოში/სხვა კოლეგია არ იქნას და მოსარჩელის ინტერესი სწრაფი მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ, რამდენადმე არ იქნას შეზღუდული. აქედან გამომდინარე, საგნობრივი საგნობრივი განსჯადობის სწორად დადგენას, დავის შედეგობრივი თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს.

3.2 ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობის ტერიტორიული სახე ფართოდ გამოყენებადია მხარეთა ინტერესების დასაცავად არამხოლოდ საქართველოს, არამედ ცივილიზებული სამყაროს ბევრ ქვეყანაში. ასეთი სახის განსჯადობის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიული საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. იურიდიული პირისათვის ან ინდივიდუალური მეწარმისათვის რაიმე უფლების მინიჭება ან რაიმე ვალდებულების დაკისრება განეკუთვნება იმ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას, რომლის ტერიტორიაზე მოცემული იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე საქმიანობს ან აპირებს საქმიანობს წარმართვას.³⁰ იგივე წესი ვრცელდება საერთო სასამართლოების შემთხვევაში. კოდექსის ენით, „სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.“³¹ ასევე, „სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.“³²; „სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე

³⁰ იქვე, გვ. 149

³¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-15 მუხლის I ნაწილი

³² იხ. იმავე კოდექსის მე-16 მუხლის I ნაწილი

ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.³³ გარდა ამისა, „სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.“³⁴ გამოდის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, ნივთის ან სამართალურთიერთობის ადგილსამყოფელი მართლაც ძირითადი მეთოდია ტერიტორიულად განსჯადი სასამართლოს დადგენის საკითხისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებში არ წარმოიშობა პრობლემები და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. მაგალითისთვის, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საქმეში ერთზე მეტი მოპასუხეა, რა დროსაც სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს.³⁵ აღნიშნული ნორმის მიზანია მოსარჩელის ინტერესების დაცვა, კერძოდ, მოსარჩელეს გადაეცემა უფლება წარადგინოს სარჩელი თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.³⁶

გარდა ამისა, საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს მაგალითები, როდესაც ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით როგორც სასამართლოებს, ასევე მხარეებს შორის აზრი ორად გაიყო. კერძოდ, იგულისხმება კოდექსის მე-16 მუხლის II ნაწილსა და მე-15 მუხლის I ნაწილის მიმართებებს შორის წარმოშობილი დავა, როდესაც 2008 წლის 22 აპრილის სარჩელით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, მოპასუხე ბ. გ-ანისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. სადავო საკითხი წარმოიშვა იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების დადების ადგილიდან გამომდინარე, ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველი შესაძლოა ყოფილიყო, თუმცა მოპასუხე ბ. გ-ანის საცხოვრებელ ადგილად დადგენილი იქნა ქ. წალკა. საკასაციო სასამართლომ საქმესთან დაკავშირებით შემდეგნაირი განმარტება გააკეთა: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს

³³ იხ. იმავე კოდექსის მე-19 მუხლის I ნაწილი

³⁴ იხ. იმავე კოდექსის მე-18 მუხლის I ნაწილი

³⁵ იხ. იმავე კოდექსის მე-10 მუხლი

³⁶ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 153

ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი ფიზიკური პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს და მიუთითებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, მაგრამ, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებულ დავაზე აღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მოცემულ დავასთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავს.³⁷ ამდენად, მიმდინარე საქმეში ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ტერიტორიული განსჯადობა იმოქმედებდა, თუკი უშუალოდ ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე დავასთან გვექნებოდა საქმე. თუმცა იმის გამო, რომ სახეზე გვაქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რელევანტური სწორედ საერთო განსჯადობის წესებია.

როგორც ვნახეთ, კოდექსი საერთო განსჯადობის დეფინიციის მეშვეობით, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სარჩელს შეტანის ზოგად, სავალდებულო პრინციპს გვაძლევს. თუმცა, ეს არ ნიშნავს გამონაკლისების არარსებობას. ასეთი გამონაკლისი და სპეციალურად დაკონკრეტებული ნორმა ეხება უძრავ ნივთსა და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებს. ასე მაგალითად, 2009 წლის 23 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაწყებული დავა დაკავშირებული იყო უძრავ ნივთთან და იმის გამო, რომ მოპასუხეებად წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური, მოსარჩელემ, კოდექსის მე-16 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, აირჩია ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელი. თუმცა, საკასაციო სასამართლოს განმარტება სხვაგვარი აღმოჩნდა. კერძოდ, სასამართლოს არგუმენტაციით, „ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის

³⁷ საქართველოს საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის განჩინება საქმეზე #ბს-1-1(გ-09). მოსამართლეების შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნ. ქადაგიძე, მ. ცისკაძე

მიხედვითაც, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. აღნიშნული წარმოადგენს საერთო პრინციპს და ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლში. ამ პრინციპის მიხედვით ხდება ნებისმიერი სარჩელის აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა დადგენილი. მიუხედავად აღნიშნული საერთო პრინციპისა, კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს, რომლის რეგულაციებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-24-ე მუხლებში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი შეიცავს იმ სარჩელების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება აღიძვრას ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამასთან საკითხი შეეხება მხოლოდ უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ უფლებებს. მართალია, მითითებული მუხლი ამკვიდრებს ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით სარჩელის აღძვრის მხოლოდ შესაძლებლობას, რაც არ გამორიცხავს საერთო განსჯადობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, შეადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება.³⁸ სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ უძრავი ნივთი მდებარეობდა ქ. საგარეჯოში, სასამართლომ განსჯად სასამართლოდ სწორედ საგარეჯოს რაიონული სასამართლო მიიჩნია. აქედან გამომდინარე, მიუხედავად საერთო პრინციპისა, რომელიც კოდექსის მე-15 მუხლის მეშვეობით რეგულირდება, არსებობს კერძო, სპეციალური შემთხვევები, რომლის დროსაც, ტერიტორიული განსჯადობის განსხვავებულ რეგულირებას აქვს ადგილი.

3.3 ინსტანციური განსჯადობა

ინსტანციური განსჯადობა განასხვავებს დავების განსჯადობას სასამართლოს ინსტანციების მიხედვით. როგორც ვიცით, ძირითადად დავები განსახილველად მიემართება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება სურვილისამებრ მხარეების მიერ, მეორე და შემდგომში მესამე ინსტანციაში. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნებში პრაქტიკაში დადგენილია უზენაესი

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება #ბს-1126-1075(გ-09), მოსამართლეები: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნ. სხირტლაძე, ლ. მურუსიძე

სასამართლოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოყენების საკითხი გარკვეული სახის დავებზე. ასეთ დათქმებს, იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც ვხვდებით საქართველოშიც, მაგალითად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹ განსაზღვრავს შემთხვევას, როდესაც „ადვოკატს შეუძლია ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.“³⁹ გარდა ამისა, სსიპ რესტიტუციის და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებები „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“⁴⁰ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.⁴¹

ინსტანციურ განსჯადობასთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის უზენაესი სასამართლოს მაგალითი, რომელიც, ზოგიერთი დავების მიმართ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს. მაგალითისთვის, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, „ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ელჩების, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონსულების მოქმედებას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე შტატი მოდავე მხარეა, უზენაეს სასამართლოს აქვს პირველი ინსტანციის უფლება, ყველა სხვა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში უზენაეს სასამართლოს აქვს სააპელაციო იურისდიქცია.“⁴² ამის მიზანი ის არის, რომ კანონმდებლის მოსაზრებით, ზოგიერთი საქმე წარმოადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს, რასაც შედარებით მაღალკვალიფიციური და უმაღლესი გამოცდილების პროფესიონალები სჭირდება. ხოლო უზენაესი სასამართლო, ყოველთვის ქვეყნის მასშტაბით გამორჩეული იურისტებით არის ხოლმე დაკომპლექტებული.

³⁹ იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹ მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება

⁴⁰ იხ. „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება

⁴¹ ავტორთა კოლექტივი, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, გვ. 159

⁴² იხ. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი, მთარგმნელები: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, თბილისი, 1993

თავი IV: სამოქალაქო საქმეების განსჯადობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდგომში: კოდექსი), სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების ძირითადი ნორმატიული, კოდიფიცირებული წყაროა. ამიტომ, იმისათვის, რომ სრულყოფილად გავეცნოთ თუ როგორაა მოწესრიგებული ქართულ სამართლებრივ სივრცეში სამოქალაქო განსჯადობის საკითხი, ვფიქრობ დეტალურად უნდა მივყვეთ კოდექსით იმპლიმენტირებულ განსჯადობის ნორმებს. სამოქალაქო განსჯადობის შესახებ დეტალურად, კოდექსის II და III თავებშია წარმოდგენილი.

4.1. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები

ვიდრე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოზე გადავიდოდეთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია შევხებით მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებს, რომელსაც, კოდექსის მე-14 მუხლი არეგულირებს. ამ მუხლის მიხედვით:

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს;

ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს;

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მიხედვით, „მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.“⁴³ მაგისტრატი მოსამართლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განმუხტვა და დავების ადგილობრივ დონეზე, მოქალაქეებისათვის მოსახერხებელ, მარტივ პირობებში გადაწყვეტა. იმისათვის, რომ მოქალაქეს შედარებით მცირე მნიშვნელობის საკითხის მოგვარებისთვის არ მოუხდეს მუნიციპალურ თუ რეგიონულ ცენტრში მიმოსვლა, მაგისტრატი მოსამართლე დავას წყვეტს ადგილზევე. ნიშანდობლივია კოდექსის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი, მაგისტრატი მოსამართლის განსახილველი საქმეები, რომლებიც სპეფიციურია და შერჩეულია დახურული ნიშნის პრინციპით (Numerus Clausus). ეს ნიშნავს, რომ მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილი არ არის განიხილოს საქმეები, რომლებიც მიკუთვნებული არ არის აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ საქმეებს. ჩვენ კანონის მითითებულ მუხლშიც ვხედავთ, რომ მაგისტრატი მოსამართლე არ

⁴³ იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი

განხილავს ქონებრივ დავას, თუ სარჩელის ფასი 5000 ლარზე მეტია, ზიანის ანაზღაურების დავას, თუ ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს. გამოდის, ამ მიმართულებით მაგისტრატის მოსამართლის მოქმედების ფარგლები შეზღუდულია, რამდენადაც იგი ერთგვარ დამხმარე რგოლს წარმოადგენს საერთო სასამართლოების სისტემაში. თუმცა იგი გახლავთ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ნაწილი და მითითებულ კომპეტენციაში, მისი გადაწყვეტილება უნარიანობა არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს.

4.2. საოჯახო დავები

საოჯახო დავების წილი სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეებზე საკმაოდ დიდია. კერძოდ, 2019 წლის სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა 2037 საოჯახო დავა.⁴⁴ ტრადიციული განმარტებით, საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. [...] ისინი კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივ ურთიერთობებია.⁴⁵ აქედან გამომდინარე არ შეიძლება დაიბადოს ეჭვი, რომ საოჯახო დავები სასამართლოებში სამოქალაქო კოლეგიის განსჯადია. საოჯახო დავების უშუალო შემადგენელია დავა მეუღლეთა განქორწინების შესახებ, ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, ბავშვის შესანახად ალიმენტის გადახდევინების შესახებ, მამობის დადგენის შესახებ, მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ და სხვ. ამასთან, საოჯახო დავებთან შესაძლებელია განვიხილოთ მემკვიდრეობითი დავებიც, რომლებიც, ასევე სამოქალაქო კოლეგიის განსჯადია, რამდენადაც იგი პირადი ქონებრივი ურთიერთობიდან და ინტერესებიდან გამომდინარეობს. საოჯახო დავების კატეგორიას მიეკუთვნება ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის საკითხიც, რომელიც, ბოლო პერიოდში არაერთხელ გამხდარა მხარეებს შორის სადავო. ნაშრომში უკვე განხილულია ერთ-ერთ ასეთ დავაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, თუმცა მითითებულ ნაწილში, მკაფიოდ იქნა გამიჯნული საკონსტიტუციო სასამართლოსა და რაიონული (საქალაქო) სამოქალაქოს კომპეტენციები ზოგადად და ასეთი დავების მიმართ. აქვე უნდა

⁴⁴ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს დავების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია აქ:

<https://tcc.court.ge/ka/Statistics>

⁴⁵ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015, გვ. 18

ადინიშნოს მემკვიდრეობითი დავების შესახებ, რომელიც საოჯახო სამართლის მონათესავე მიმართულებაა და ასევე აწესრიგებს ოჯახურ ურთიერთობებს, თუმცა სამემკვიდრეო თვალსაზრისით. ამდენად, ყოველივე, რაც დაკავშირებულია საოჯახო ურთიერთობების გადაწყვეტასთან პირადი, კერძო ურთიერთობების თვალსაზრისით, განსჯადია სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიების მიერ.

4.3. შრომითი დავები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, 2019 წლის განმავლობაში, შრომითი დავების მიმართულებით სამოქალაქო კოლეგიაში შევიდა 1075 საქმე. შრომით ურთიერთობებს საქართველოს შრომის კოდექსი არეგულირებს, რომლის მიხედვითაც, „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.“⁴⁶ შრომითი კანონმდებლობა, შრომითი უფლებების დაცვისა და დასაქმებულის მიმართ სამართლიანი მოპყრობის ბერკეტია. გარდა ამისა, შრომითი კანონმდებლობა იცავს და არეგულირებს სამუშაო საათებს, უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში შრომის უფლებას და სხვ. შრომითი დავის საფუძველი სხვადასხვა გარემოება შეიძლება გახდეს, თუმცა, ძირითადად ასეთი დავები წარმოშობილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, როდესაც, დასაქმებული არ მიიჩნევს კანონიერად დამსაქმებლის გადაწყვეტილებას, მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. რა თქმა უნდა, ყოველი შეწყვეტილი ხელშეკრულება არ შეიძლება უკანონო მოქმედებად ითვლებოდეს, რამდენადაც კანონი პირდაპირ არეგულირებს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობებს, თუმცა, არსებობს განსხვავებული შემთხვევებიც. მაგალითისთვის, სასამართლომ განიხილა საქმე სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ იგი მისი რელიგიური კუთვნილების გამო იქნა სამსახურიდან გათავისუფლებული. ამდენად შრომის კოდექსი ადგენს დისკრიმინაციის ყოველგვარ აკრძალვას როგორც წინასახელშეკრულებო (ვაკანსიის გამოქვეყნების, შერჩევის ეტაპზე), ასევე უშუალოდ შრომითი ურთიერთობის

⁴⁶ იხ. საქართველოს შრომის კოდექსი, მე-2 მუხლის პირველი ნაწილი

წარმოშობის მომენტიდან.⁴⁷ სასამართლოს განმარტებით, შრომით ურთიერთობაში აშკარად გამოკვეთილია დამსაქმებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან – დასაქმებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის სამართალი.⁴⁸ ასეთი სუბორდინაციის მიუიხედავად, შრომითი დავები ნებისმიერ შემთხვევაში არის საერთო სასამართლოების სამოქალაქო კოლეგიის განსჯადი. მნიშვნელობა არ აქვს პირი დავას იწყებს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, საქმის გარემოებებს განიხილავს სამოქალაქო კოლეგია, რამდენადაც დავა დაკავშირებული არ არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან და ეხება მხოლოდ და მხოლოდ პირებს შორის, ცალკეული ხელშეკრულების ჯეროვნად თუ არაჯეროვნად შესრულებას. ამასთან, შრომითი ურთიერთობა თავისი არსით სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რამდენადაც, იგი ორმხრივი სარგებლის მიღებას ისახავს მიზნად. ყოველივე ეს კი მის კერძო სამართლებრივ ბუნებას უსვამს ხაზს.

4.4. საადგილმამულო დავები

შეიძლება ითქვას, რომ საადგილმამულო დავების ძირითადი ნაწილი სანივთო სამართლებრივი დავებია, რომლის შემადგენლობაში შედის მფლობელობის, საკუთრების, მისი შექმნა განკარგვის, სამეზობლო დავები. საადგილმამულო დავებზე მიეკუთვნება ასევე სამოქალაქო კოლეგიის განსჯად დავებს, რამეთუ მოქმედი სუბიექტები არიან კერძო პირები, ხოლო დავის მიზანი არის მხარეებს შორის კერძო ურთიერთობათა რეგულირება. მაგალითისთვის, საკუთრებისა თუ მფლობელობის საკითხები მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელ სახლზე. აუცილებელი გზის დადგენა სამეზობლო ურთიერთობებში და სხვ. ამასთან, საადგილმამულო დავა შეიძლება შემოიფარგლებოდეს სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ტერიტორიის რეგისტრაციითაც, თუმცა, იმის გამო რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს და პირის სახელზე კონკრეტულ საკუთრებას არეგისტრირებს, აქ საქმე გვექნება საჯარო სამართლებრივ მიზანთან. ასეთ

⁴⁷ იხ. საქართველოს შრომის კოდექსი, მე-2 მუხლის მესამე ნაწილი

⁴⁸ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, „საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები“, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2017, გვ. 14

მიზანს ასრულებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შესაბამისად, მსგავსი ხასიათის დავები არის საერთო სასამართლოების ადმინისტრაციული კოლეგიის განსახილველი. მაგრამ, თუკი საქმე ეხება რეგისტრაციის წინარე მოქმედებებს, რაც ვლინდება გარიგებაში საკუთრების ნასყიდობის შესახებ, იქნება ეს მიწის ნაკვეთი თუ სხვა სახის უძრავი ნივთი, ასეთ დროს დავას წყვეტს სამოქალაქო კოლეგია. საადგილმამულო დავებს ასევე მიეკუთვნება აღნაგობა, სერვიტუტი, უზურფრუქტი, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ცნებებია.

2019 წლის მონაცემებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა სულ 2368 დავა სანივთო სამართლებრივი კატეგორიით.

4.5. ბუნებრივი რესურსების გამოყენებიდან წარმოშობილი დავები

შესავალშივე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დავები იმდენადაა სამოქალაქო განსჯადობას მიკუთვნებული, რამდენადაც იგი საადგილმამულო საქმეების კატეგორიის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ეს იმიტომ, რომ ბუნებრივი რესურსები არის უძრავი ქონების, მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი. ვფიქრობ, კანონმდებელმა იგი ცალკეულ მიტომ გამოყო, რომ მასთან დაკავშირებული დავები გამომდინარეობს ბუნებრივი რესურსების მაღალი ღირებულებიდან და ხშირ შემთხვევაში, მასზე ინტერესი მიწის ნაკვეთზე გაცილებით მეტია. მაგალითისთვის, ყველასთვის კარგად ცნობილია საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, ჭიათურაში არსებული წიაღისეულის, მანგანუმის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ თუკი წავაწყდებით დავას, რომელიც მიმდინარეობს ჭიათურის მიმდებარე სოფლებში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებასთან დაკავშირებით, მისი ძირითადი მიზანი სწორედ ისეთი ნაკვეთის საკუთრების მცდელობაა, რომელზეც აღნიშნული რესურსის მოპოვებაა შესაძლებელია. მაშასადამე, კანონმდებლისთვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენება გამორჩეულ დატვირთვას ატარებს.

აქვე უნდა გავმიჯნოთ განსჯადობის საკითხი ადმინისტრაციულ ორგანოს, სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიასა და სასამართლო სამოქალაქო კოლეგიას შორის. იმ შემთხვევაში, თუკი კერძო პირს მეორე კერძო პირთან სურს შეთანხმება/ხელშეკრულების დადება მიწის ნაკვეთის შესახებ, რომელზეც ბუნებრივი რესურსია თავმოყრილი, ასეთ დავას განიხილავს სამოქალაქო კოლეგია. თუმცა, თუკი საქმე ეხება წიაღისეულის ამოღებასთან დაკავშირებული ლიცენზიის

მოპოვებას, ან კონკრეტული მიწის ნაკვეთის რეესტრში დაზუსტებას, ასეთ დროს საკითხს წყვეტს ადმინისტრაციული კოლეგია ან ადმინისტრაციული ორგანო.

4.6. საქმეები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის

აღნიშნული დავის კატეგორიის ცალკე გამოყოფა საჭიროდ, კანონმდებელმა მისი სპეციფიკური მნიშვნელობისა და მხარეების მახასიათებლების გამო ჩათვალა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რელიგიური ორგანიზაციები შეიძლება დარეგისტრირდნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებად.⁴⁹ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კი ძირითადად იგულისხმება იმავე კოდექსის 27-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული პირები. ამ კატეგორიის ცალკე გამოყოფის ერთ-ერთი მიზეზი ასევე შეიძლება ყოფილიყო რელიგიური ორგანიზაციის სტატუსიდან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან გამომდინარე წარმოქმნილი შესაძლო ბუნდოვანების აღმოფხვრა. ეს იმიტომ, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი დავის დროს თავისთავად არ იქნას წარმოჩენილი, როგორც ადმინისტრაციული ორგანო. მაშასადამე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან დაწყებული დავები რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, ან პირიქით, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნას მიჩნეული სამოქალაქო განსჯადობის დავად.

4.7. უდავო წარმოების საქმეები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უდავო წარმოების საქმეების სამოქალაქო განსჯადობისათვის მიმკუთვნებას. უდავო წარმოების საქმეები თავისი არსით განსხვავდება ტირუპი სამოქალაქო წარმოებისგან, როდესაც დავა მხარეებს შორის პაექრობის მიხედვით წარმოიშობა და მათი დასაბუთებისა თუ სხვა გარემოების შესაბამისად წყდება. უდავო წარმოება განსხვავდება სასარჩელო სამართალწარმოებისაგან იმით, რომ ასეთი კატეგორიის საქმეზე არა აქვს ადგილი დავას მხარეთა შორის უფლების თაობაზე. ამ დროს, დაინტერესებული პირი

⁴⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509 და 1509¹ მუხლები

სასამართლოს მიმართავს არა მოპასუხესთან დავის განხილვა-გადაწყვეტის თხოვნით, არამედ ამა თუ იმ ფაქტის დადგენა-დადასტურების მოთხოვნით. ასეთ სამართალწარმოებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი პირი, განმცხადებლის სახით, აქ არც მოპასუხე და არც მესამე პირები არიან წარმოდგენილნი.⁵⁰ უდავო წარმოების საქმეებში ითვლება სასამართლოსთვის მიმართვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზნით, რისი აუცილებლობაც შეიძლება დადგეს იურიდიულ დოკუმენტაციაში საკუთარი სახელის ან გვარის არასწორი მონაცემის დაზუსტების, ნათესაური კავშირის დადგენის, მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენის და სხვა შემთხვევებში. ასეთი დავები არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი, რამდენადაც, არ ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების გასაჩივრება, არამედ, პირის ინტერესებში შედის რაიმე კონკრეტული ფაქტის დადასტურება, სასამართლოს მეშვეობით დადგენა და ოფიციალურად დამოწმება. შესაბამისად, უდავო წარმოების სამოქალაქო სასამართლოს მიერ განსჯადობა ლოგიკურია.

4.8. ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის I ნაწილის ზ) ქვეპუნქტი განსაზღვრავს ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საქმეებს და იქვე აკონკრეტებს სუბიექტებს, რომელთაგანაც ქონების ჩამორთმევა დასაშვებია. ასეთები არიან: თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები.⁵¹ ვფიქრობ, მეტის სიცხადისთვის მნიშვნელოვანია ასეთი შემთხვევები გამიჯნული იქნას ექსპროპრიაციისგან, რადროსაც, ადგილი აქვს საკუთრების ჩამორთმევას გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობის გამო. ამასთან, ექსპროპრიაციისას საკუთრების ჩამორთმევის დროს ხდება მესაკუთრის წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაციით უზრუნველყოფა. შესაბამისად, ეს კი გახლავთ

⁵⁰ უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკა, ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.supremecourt.ge/kitxvebi/?page=detail&id=77>

⁵¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის I ნაწილის ზ) ქვეპუნქტი

ჩამორთმევის მაგალითი, თუმცა, უფრო შეიძლება გამოსყიდვის სახედ ჩაითვალოს, რამდენადაც, კერძო სუბიექტი ამისათვის საბაზრო ღირებულების შესაბამის ანაზღაურებას იღებს.

სხვაგვარადაა საქმე ზ/ხსენებული მუხლის მოქმედებით საკუთრების ჩამორთმევისას. ასეთი მოქმედების განხორციელების შესახებ განმარტება გაკეთებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში, რომლის I ნაწილის მიხედვით, „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.“⁵² გამოდის, კოდექსში მოყვანილი კონკრეტული დანაშაულების ჩადენის შემდეგ, სახელმწიფოს აქვს კანონით გარანტირებული უფლებამოსილება, ჩამოართვას მას დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ქონება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აღნიშნული პუნქტი 2013 წლის 13 ნოემბერს იქნა მიღებული. საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი განმარტებითი ბარათში მისი მიღების აუცილებლობა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ევროპის საბჭოს მიერ 2005 წლის 16 მაისს მიღებული იქნა ვარშავის კონვენცია "დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის, ასევე ტერორიზმის დაფინანსების შესახებ." იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებობს მზადყოფნა ამ კონვენციასთან მისაერთებლად, საჭიროა სარატიფიკაციო პროცედურების წარმართვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. კონვენციის 23-ე მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს უზრუნველყონ ქვეყანაში ისეთი სამართლებრივი მექანიზმის არსებობა, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის კონფისკაციის შესაძლებლობას.“⁵³ აღსანიშნავია, რომ ქონების კონფისკაცია, როგორც დამატებითი სასჯელის სახე (არა უკანონოდ შეძენილი ქონების - *სპეციალური კონფისკაცია*), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 21 ივლისს, პლენუმის გადაწყვეტილებით გააუქმა.⁵⁴

⁵² იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის I ნაწილი

⁵³ იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, ხელმისაწვდომია აქ: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/29495?>

⁵⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/51, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, ხელმისაწვდომია აქ: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=55>

4.9. შვილად აყვანის საქმეები

ვინაიდან შვილად აყვანა არის კანონით დადგენილი წესით მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს (ნაშვილებს) შორის წარმოშობილი ურთიერთობა,⁵⁵ ის მიეკუთვნება სამოქალაქო სასამართლოს განსჯადობას მიუხედავად იმისა, რომ პროცედურაში მნიშვნელოვანწილად არის ჩართული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის“ მიხედვით, შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სასამართლო.⁵⁶ შვილად აყვანის საქმეებზე სასამართლოს ჩართულობის აუცილებლობას კანონი აწესრიგებს არასწრულწლოვანთან დაკავშირებული მომეტებული რისკებიდან გამომდინარე. როგორც განვიხილეთ, ასეთი ჯგუფის პირების მიმართ ხშირ შემთხვევაში სავალდებულოა სასამართლოს ჩართულობა, რაც, საზღვარგარეთ ბავშვის გაყვანის არსებითი განმარტების დროსაც იქნა აღნიშნული.

4.10. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებულ საქმეები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის I ნაწილის ლ) ქვეპუნქტი არის კონსტიტუციის ახალი რედაქციით მიღების გამოძახილი, რამაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემოქმედებით ნაწარმოებთან დაკავშირებული დავები განსახილველად პირდაპირ მიაკუთვნა სამოქალაქო სასამართლოს. „კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-20 მუხლის თანახმად, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას და ამ უფლების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაც უზრუნველყოფს უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლებას“ -

⁵⁵ იხ. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-3 მუხლი

⁵⁶ იხ. იმავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი

ვკითხულობთ კანონის განმარტებით ბარათში.⁵⁷ გამოდის, იმის გამო, რომ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში განსაზღვრული იქნა შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელებაზე მხოლოდ სასამართლოს ჩართვის აუცილებლობა, მისი საპროცესო კანონმდებლობაში გადატანა გახდა საჭირო, რათა სპეციალურ ნორმას დაერეგულირებინა ასეთი დავების უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობის საკითხი. ტექსტში პირდაპირაა აღნიშნული, რომ შემოქმედებით ნაწარმოებთან დაკავშირებით შეზღუდვები დაუშვებელია, თუკი იგი არ ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, უფლების ასეთი შელახვისა თუ დარღვევის საკითხი კერძო პირთა შორის გადასაწყვეტია და მისი სამოქალაქო განსჯადობისთვის მიკუთვნება ლოგიკურია.

თავი V: სამოქალაქო განსჯადობა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე

განსჯადობის საკითხი სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ევროკავშირის რეგულაციებში იგი საკმაოდ ინტენსიურად არის წარმოდგენილი. იმის გამო, რომ არსებობს შიდა ეროვნული, ინდივიდუალური მიდგომები და ქვეყნებში სასამართლოების განსხვავებულ კომპეტენციებს ვხვდებით, წარმოიქმნება გამოწვევა სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით მულტიეროვნული ურთიერთობების კონტექსტში. ეროვნულ დონეებზე, ტრადიციული განსაზღვრებაა განსჯადობის ტერიტორიული პრინციპით მოწესრიგება. როგორც საქართველოს მაგალითზეც განვიხილეთ ამ პრინციპის მიხედვით, განსჯადობა დამოკიდებულია სადავო საგნის მდებარეობაზე ან ერთ-ერთი მხარის საცხოვრებელ ადგილზე.⁵⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული განსჯადობა სამოქალაქო და კომერციულ დავებზე

⁵⁷ იხ. განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, ხელმისაწვდომია აქ: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/183443?>

⁵⁸ Mirela Župan, Paula Poretti, „Concentration of Jurisdiction – Is Functionality of Judiciary Becoming an Obstacle to Access to Justice?“, University of Osijek, p. 298

ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი საერთო პრინციპია. კერძოდ, ბრიუსელის მიერ განსაზღვრულია, რომ განსჯადობა უნდა გადაწყდეს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.⁵⁹ ეს იმიტომ, რომ დაცული იქნას მოპასუხისა და სუსტი მხარის უფლებები სამოქალაქო პროცესში.⁶⁰ გარდა ამისა, ითვლება, რომ მოპასუხეს ასეთ დროს უცხო სისტემაში უწევს აღმოჩენა, რაც მისი დაცულობის გარანტიას შედარებით მოკრძალებულს ხდის და უფრო ქვემდგომი პოზიციიდან უხდება ინტერესების დაცვა.⁶¹

მოპასუხისთვის საქმის გამარტივების ეს მიდგომა, ზოგჯერ ძალიან პრობლემურს ხდის სამართალურთიერთობებს. თუკი წარმოვიდგენთ ევროპის კავშირს, რომელიც ძალიან მობილური გაერთიანებაა და მისი მოქალაქეები სხვადასხვა ქვეყანაში საცხოვრებლად თუ სამუშაოდ ხშირად გადაადგილდებიან, შეგვიძლია ვივარაუდოთ გართულებული შემთხვევების შესახებ. მაგალითად, სრულიად შესაძლებელია პროცესის დაწყებისას ერთ-ერთი მხარე სხვა ქვეყანაში გადავიდეს საცხოვრებლად ან სულაც მოწმე ან რომელიმე სამხილი იყოს სხვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში. ასეთი შემთხვევები იწვევს საქმის სხვა სახელმწიფოში გადატანას, რამდენადაც, მოპასუხე მხარე უკვე იქ ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, განსჯადობის გამოწვევები ევროკავშირში მრავალმხრივ მაგალითებს ეფუძნება. ყოველივე ეს ევროკავშირის კანონმდებლობით, წევრი სახელმწიფოების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. განვიხილოთ იგი უფრო ვრცლად.

5.1. ევროპის კავშირი

საერთაშორისო სამართლის პრინციპიდან გამომდინარე, ყოველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საერთაშორისო სამართლის მიერ წამოყენებული მოთხოვნების

⁵⁹ Magdalena Tulibacka, Margarita Sanz, Roland Blomeyer, „Common Minimum Standard of Civil Procedure”, European Parliamentary Research Service, 2016, p. 34

⁶⁰ ევროსაბჭოს 2000 წლის 22 დეკემბრის რეგულაცია, N44/2001, ხელმისაწვდომია აქ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32001R0044>

⁶¹ Magdalena Tulibacka, Margarita Sanz, Roland Blomeyer, „Common Minimum Standard of Civil Procedure”, European Parliamentary Research Service, 2016, p. 35

მიხედვით, მხარეთა მიერ პირნათლად და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს.⁶² ევროკავშირის მაგალითზე, 2009 წელს წევრ სახელმწიფოებს შორის დაიდო ლისბონის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილება და მინისტრთა საბჭოს როლი. ევროპის კავშირის შიდა ორგანოა ევროკომისია რომელიც, იძიებს საქმეებს, რომლებიც ეხება ერთობლივი კანონების დარღვევას წევრი სახელმწიფოების მიერ.⁶³ შესაბამისად, ევროპარლამენტის მიერ მიღებული კანონების შესრულება სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ასეთი სახის კანონია განსჯადობის საკითხების გარშემო მიღებული 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია „განსჯადობის, აღიარებისა და სამართლის აღსრულების შესახებ სამოქალაქო და კომერციულ დავებში“ (შემდგომში: რეგულაცია) (on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters). სწორედ იმის გამო, რომ შიდა ეროვნული კანონმდებლობის შესაძლოა განსხვავებულობა ქმნის პრობლემას, ამ მიმართულებით საჭირო გახდა ქვეყნების შორის კანონების კონსოლიდაცია და ერთმანეთთან დაახლოება. როგორც აღნიშნული რეგულაციის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, „კონკრეტული განსხვავებები ეროვნულ კანონმდებლობებს შორის განსჯადობის საკითხებში აფერხებს ოპერირებას შიდა (ევროპის კავშირის მასშტაბით) ბაზარზე. პირობები, რომლებიც სამოქალაქო და კომერციული დავების გარშემო საკანონმდებლო ერთიანობას მოიტანს შედეგად, არსებითად მნიშვნელოვანია სწრაფი და მარტივი სამართლის აღსრულების პროცესში, წევრი სახელმწიფოების შიგნით.“⁶⁴ „იმისათვის, რომ მივაღწიოთ გადაწყვეტილებათა მარტივ აღსრულებას სამოქალაქო და კომერციულ დავებში, მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილია, რომ წესები განსჯადობის, აღიარებისა და სამართლის აღსრულების შესახებ სამოქალაქო და კომერციულ დავებში, რეგულირებული იქნას კავშირის მასშტაბით ერთიანი სამართლებრივი ინსტრუმენტების მეშვეობით.“⁶⁵ აღნიშნული რეგულაცია პირდაპირ განმარტავს, რომ „სასამართლოებმა, ტრიბუნალებმა, ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოს შორის არსებულმა სასამართლოებმა, როგორცაა ბენელუქსის სასამართლო, განსჯადობის წესების გარშემო, მხედველობაში უნდა მიიღონ ამ რეგულაციით დადგენილი წესები.“⁶⁶ მაშასადამე, აღნიშნული

⁶² ლევან ალექსიძე, „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, გვ. 123

⁶³ იქვე, გვ. 171

⁶⁴ იხ. ევროპარლამენტის 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია „განსჯადობის, აღიარებისა და სამართლის აღსრულების შესახებ სამოქალაქო და კომერციულ დავებში“, ხელმისაწვდომია აქ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32012R1215>

⁶⁵ იქვე, (4), ხელმისაწვდომია აქ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32012R1215>

⁶⁶ იქვე, (6), ხელმისაწვდომია აქ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32012R1215>

რეგულაცია პირდაპირ მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს, რომ არ გავიდნენ რეგულაციის ფარგლებიდან და შიდა საკანონმდებლო ბაზა დაუქვემდებარონ სწორედ განხილულ რეგულაციას. ვფიქრობ საინტერესოა ჯერ აღნიშნული რეგულაციის, ხოლო შემდეგ შიდა კანონმდებლობის თავისებურების გარკვევა და მათი შესაბამისობის დადგენა.

უნდა ითქვას, რომ რეგულაციის შესავალშივე ხაზი აქვს გასმული „საერთო განსჯადობის“ ნიშანს და მითითებულია დავის დაწყების შესახებ ძირითად შემთხვევაში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის გამოყენება. თუმცა, გამოყოფილია ისეთი დაშვებები, რომელიც უკავშირდება ზიანს ან განსჯადობას მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

როგორც რეგულაციის მე-2 კარის პირველი თავის მე-4 მუხლში აღნიშნული, „თუკი პირის საცხოვრებელ ადგილად/ადგილსამყოფელად განსაზღვრულია რომელიმე წევრი სახელმწიფო, მოქალაქეობის მიუხედავად, მის მიმართ სარჩელი შეტანილი უნდა იქნას ამ წევრ სახელმწიფოში.“⁶⁷ ამას გარდა, „პირის მიმართ, რომლის საცხოვრებელი ადგილი/ადგილსამყოფელია ერთი სახელმწიფო, შესაძლოა სარჩელი შეტანილი იქნას სხვა წევრ სახელმწიფოში, თუკი დავა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომლის ვალდებულებაც ამ კონკრეტულ სახელმწიფოში უნდა შესრულებულიყო.“⁶⁸ იმავე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, „დექიქტის, მიყენებული ზიანის, კვაზიდელიქტის შემთხვევაში, დავის ადგილმდებარეობაც განისაზღვრება სახელმწიფო, სადაც ეს ყოველივე მოხდა.“⁶⁹ იმავე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, „როდესაც დავა წარმოიშვება რაიმე სააგენტოს, დაწესებულების წინააღმდეგ, სარჩელი შეტანილი შეიძლება იყოს მისი ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით.“⁷⁰ საინტერესოა მიდგომა შრომით ხელშეკრულებებთან მიმართებით. კერძოდ, „თუკი პირი შრომით ხელშეკრულებასთან კომპატანიასთან, რომელიც არაა განთავსებული ევროპის კავშირში, თუმცა აქვს ფილიალი, მის ადგილსამყოფელად მიიჩნევა ფილიალის ადგილმდებარეობა.“⁷¹ შესაბამისად, პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. რაც შეეხება დასაქმეულის მიმართ შესატან სარჩელს, „დავა შეიძლება დაწყებული იქნას იმ სახელმწიფოს სასამართლოში, სადაც მისი საცხოვრებელი

⁶⁷ იქვე, მე-2 კარი, პირველი თავის მე-4 მუხლი

⁶⁸ იქვე, მე-2 კარი, მე-2 თავის მე-7 მუხლი

⁶⁹ იქვე, მე-2 კარი, მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი

⁷⁰ იქვე, მე-2 კარი, მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი

⁷¹ იქვე, მე-2 კარი, მე-2 თავი, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი

ადგილია, ან სხვა წევრ სახელმწიფოში, საიდანაც იგი ფიზიკურად ასრულებს სამუშაო მოვალეობებს.“⁷²

ასეთია ევროპის კავშირის რეგულაციის ზოგადი მიმოხილვა, რაც იძლევა სტანდარტს წევრ სახელმწიფოებში საკითხის რეგულაციისათვის. ეს რეგულაცია უფრო მეტად ორიენტირებულია კონკრეტული დავების განსჯადობის სახელმწიფო დონეზე დადგენაზე, თუმცა იგი იძლევა სტანდარტს შიდა ეროვნული რეგულირებისთვისაც. კონკრეტულად, ეს ვლინდება მოპასუხის უფლებების დაცვის მიმართულებით, „საერთო განსჯადობის“ წესების რეგულირებისას. განსჯადობის საერთაშორისო სტანდარტის უკეთ წარმოსაჩენად, გავეცნოთ რიგი ქვეყნების მაგალითებს როგორც ევროპის კავშირის მასშტაბით, ისე მის გარეთ.

5.2 გერმანია

გერმანიის შემთხვევაში, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა იმ დავაზე, რომელშიც მოპასუხე მხარეს გერმანიის ტერიტორიაზე აქვს ძირითადი ადგილსამყოფელი. ძირითადი ადგილსამყოფელი დგინდება პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც რეგულირდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.⁷³ ამავე კოდექსის მიხედვით, თუკი პირს არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი, მაშინ ძირითად ადგილსამყოფელად ითვლება დროებითი საცხოვრებელი ადგილი. ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში კი, პირის ბოლო საცხოვრებელი ადგილი.⁷⁴ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირის ადგილსამყოფელში იგულისხმება ადგილი, რომელ მისამართზეც იგი რეგისტრირებულია.⁷⁵ ამ ნაწილში იკვეთება აშკარა მსგავსება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დათქმასთან,

⁷² იქვე, მე-2 კარი, მე-2 თავი, 21-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁷³ იხ. „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, მე-13 მუხლი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

⁷⁴ იხ. იქვე, მე-16 მუხლი

⁷⁵ იხ. იქვე, მე-17 მუხლის I ნაწილი

რომელიც, შეიძლება ითქვას იმეორებს გერმანულ მიდგომა მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში.⁷⁶

თუმცა არსებობს გარკვეული ტიპის სარჩელები, რომელთა შემთხვევაშიც, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებული წესი შეიძლება იქნას გამოყენებული. ასეთი დავები შემდეგნაირია:

- დავების ფარგლებში, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე წარმოიშვა, შესაძლებელია მხარემ სარჩელი შეიტანოს ხელშეკრულების დადების ადგილის მიხედვით.⁷⁷ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც აწესრიგებს ასეთ დათქმას, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.⁷⁸
- სამოქალაქო დელიქტების ფარგლებში, დავა შეიძლება დაწყებული იქნას იმ სასამართლოში, რომელ გეოგრაფიულ არეალშიც ეს შემთხვევა მოხდა;⁷⁹
- დავები მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, მემკვიდრის სარჩელი ნივთის მფლობელის მიმართ, სარჩელი სავალდებულო წილის მიღბასთან დაკავშირებით წარედგინება იმის მიხედვით, თუ რომელი იყო მოანდერძის ადგილსამყოფელი გარდაცვალებამდე.⁸⁰ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ, გერმანიის სსკ-ის 27-ე მუხლის დათქმას ტერმინოლოგიურადაც კი მიჰყვება, რომდესაც მე-16 მუხლის დასახელებაში იმეორებს

⁷⁶ აღნიშნული მუხლის მითითებული ნაწილის მიხედვით, „თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.“ როგორც აღინიშნა, ეს მიდგომა გერმანიის სსკ-ის რეგულირებასთან ძალიან ახლოსაა

⁷⁷ იხ. „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 29-ე მუხლი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

⁷⁸ აღნიშნული მუხლის მითითებული ნაწილის მიხედვით, „ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“ ეს დათქმა ასევე ახლოსაა გერმანიის სსკ-ის რეგულირებასთან

⁷⁹ იხ. „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 32-ე მუხლი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

⁸⁰ იხ. „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 27-ე მუხლი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

„განსაკუთრებული განსჯადობის“ ცნებას, რაც გერმანული შესატყვისის „Besonderer“ თარგმანია;⁸¹

გერმანიაში, განსჯადობის განსაკუთრებული შემთხვევები ასევე წამოიშობა კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს სამოქალაქო პროცესებს, რომელიც დაკავშირებულია მიწის საკუთრებასთან. ასეთ დროს, განსჯად ტერიტორიად გვევლინება მიწის ადგილსამყოფელი.⁸² იდენტურია მიდგომა საქართველოს სსკ-ის შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთის უფლებასთან დაკავშირებული დავები განიხილება უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.⁸³

ვფიქრობ, გერმანიის ფარგლებში მოქმედი სამოქალაქო განსჯადობის წესების განხილვამ ნათლად გვაჩვენა მისი სიახლოვე საქართველოს სსკ-ის მოწყობასთან, სულ ცოტა, კონკრეტულად განსჯადობის საკითხების გარშემო. როგორც ვნახეთ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, ამ კუთხით არა მხოლოდ შინაარსობრივ, ასევე ტერმინოლოგიურ დეტალებსაც კი იმეორებს.

5.3 ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში განსჯადობა ხორციელდება „საერთო“ განსჯადობის წესების ფარგლებში, რა დროსაც, დავა იწყება იმ სასამართლოს ადგილმდებარეობის მიხედვით, სადაც მოპასუხე ფიზიკური პირის ადგილსამყოფელი/საცხოველები ადგილია, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, სადაც იგი რეგისტრირებულია.⁸⁴ რთული ფედერალური სისტემის არსებობის გამო, შეერთებულ შტატებში მთელი ქვეყნის მასშტაბით მკაფიოდ განსაზღვრული იურისდიქციის მოწესრიგება არ არსებობს, რამდენადაც მსგავსი სახის დეტალები ხშირ შემთხვევაში შტატების

⁸¹ საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, „სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

⁸² იხ. „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 24-ე მუხლი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

⁸³ იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ მე-18 მუხლის პირველი ნაწილი

⁸⁴ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მუდმივი ბიური, „განსჯადობის შესახებ შედარებითი რეესტრი“, ამერიკის შეერთებული შტატები, გვ. 40, ხელმისაწვდომია აქ: <https://assets.hcch.net/docs/03c39e9f-878b-400d-a359-e70b7937edde.pdf>

რეგულირების სფეროს წარმოადგენს ხოლმე. თუმცა, პრინციპების დონეზე შესაძლებელია ორსაფეხუროვანი ანალიზი, თუ როგორ ადგენს სასამართლო იურისდიქციას.

1. თითოეულ შტატს აქვს განსაზღვრული აქტები, რომლებიც ადგენს იურისდიქციის ფომებს და ძირითადად მოიცავს „საერთო“ და „განსაკუთრებული“ განსჯადობის წესებს;
2. თუ აღნიშნულ წესებს საქმე აკმაყოფილებს, სასამართლომ უნდა დადგინოს განსჯადობის თვალსაზრისით მისი შესაბამისობა კონსტიტუციის მე-5 და მე-14 მუხლებთან, რომლებიც, მოიცავს სამართლიანი სასამართლოსა და თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებებს.⁸⁵

საქმეში, *Walden v. Fiore*, 571 U.S. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ინდივიდის შემთხვევაში, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მისი საცხოვრებელი ადგილი, კორპორაციისთვის ის ადგილი, რომელიც მიჩნეულია მისი საქმიანობის ადგილად. განსაკუთრებული განსჯადობის შემთხვევაში, საჭიროა საკმარისი კავშირების დადგენა მოპასუხეს, სასამართლოს ადგილმდებარეობასა და გასასაჩივრებელ ქმედებას შორის.⁸⁶ ასე მაგალითად, თუკი დადგა დელიქტური ზიანი რომელიმე შტატში, მხოლოდ დელიქტური ქმედების ადგილი არ არის საკმარისი განსჯადი სასამართლოს დასადგენად, არამედ დამატებითი კავშირის დადგენა სასამართლოს, მოპასუხის მოქმედებასა და მომხდარის მიზეზს შორის.⁸⁷ სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე შესაძლოა განისაზღვროს ზიანის მიმყენებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც.

5.4 გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი ტერიტორიული მოწყობიდან გამომდინარე, რამდენადაც მის შემადგენლობაში ინგლისი, უელსი, ჩრ. ირლანდია და შოტლანდია

⁸⁵ იქვე, გვ. 40

⁸⁶ იხ. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება *Walden v. Fiore*, 571 U.S., ხელმისაწვდომია აქ: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/571/12-574/case.pdf>

⁸⁷ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მუდმივი ბიური, „განსჯადობის შესახებ შედარებითი რეესტრი“, ამერიკის შეერთებული შტატები, გვ. 41, ხელმისაწვდომია აქ: <https://assets.hcch.net/docs/03c39e9f-878b-400d-a359-e70b7937edde.pdf>

შედიან, განსჯადობის წესები გარკვეულწილად განსხვავებულია, თუმცა მაინც ინარჩუნებს ახლო მსგავსებას. ინგლისისა და უელსის შემთხვევაში, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით დავის დაწყება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც მოპასუხე ფიზიკური პირია და წარმოდგენილია ინგლისში ან უელსში;
- როდესაც მოპასუხე არის უცხოური კორპორაცია ან ფირმა, რომელიც საქმიანობს ინგლისში ან უელსში და ამ საქმიანობის ფარგლებში წარმოიშვება დავა;
- როდესაც მოპასუხე არის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია ინგლისში ან უელსში. ასეთ დროს ხდება რეგისტრაციის მისამართის გამოყენება;
- როდესაც მოპასუხე კომპანიას აქვს ფილიალი ინგლისის ან უელსის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, საქმე უკავშირდება თუ არა ამ ტერიტორიებს;
- როდესაც საკანონმდებლო აქტები უშუალოდ მიუთითებს ინგლისისა და უელსის სასამართლოს საქმის განხივისკენ, მიუხედავად მოპასუხის ადგილსამყოფელის, ან საქმიანობისა.

თუკი პირი დავის დაწყებას აპირებს იმ ფიზიკური პირის ან კომპანიის მიმართ, რომელიც არ იმყოფება ან წარმოდგენილი არ არის ინგლისსა და უელსში, ამისათვის ჯერ შიდა სასამართლოებისგან ნებართვის მიღებაა საჭირო.⁸⁸ რაც შეეხება უშუალოდ ინგლისსა და უელსს შორის შესაბამისი ტერიტორიის არჩევას, ამ დროს სასამართლოები ითვალისწინებენ ისეთ გარემოებებს როგორებიცაა, დავის ბუნება, სასამართლებრივი და პრაქტიკული საკითხები, სამხილების წარდგენის, მოწმეების გამოცხადების შესაძლებლობა, ხარჯები. თუმცა აუცილებელია ადგილსამყოფელის, ბიზნესის ადგილმდებარეობის რელევანტურობა და დავის დაწყების ძირითადი საფუძვლები.⁸⁹

როგორც უკვე შევნიშნეთ, ინგლისისა და უელსის მსგავსია ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი განსჯადობასთან დაკავშირებული ძირითადი წესები, თუმცა ყოველივე ეს იქ წესრიგდება 1980 წლის „ჩრ. ირლანდიის სასამართლო იურისდიქციის ნორმებით.“ რაც შეეხება შოტლანდიას, აქ განსჯადობის წესებს 1982 წლის „სამოქალაქო იურისდიქციისა და გადაწყვეტილებათა აქტი“ აწესრიგებს, რომლის მეოთხე ცხრილიც დაწვრილებით განიხილავს ტერიტორიული

⁸⁸ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მუდმივი ბიური, „განსჯადობის შესახებ შედარებითი რეესტრი“, ამერიკის შეერთებული შტატები, გვ. 37, ხელმისაწვდომია აქ: <https://assets.hcch.net/docs/03c39e9f-878b-400d-a359-e70b7937edde.pdf>

⁸⁹ იქვე, გვ. 37

იურისდიქციის განაწილების წესებს.⁹⁰ მიუხედავად მსგავსებისა, არსებობს რამდენიმე საგულისხმო განსხვავება. მაგალითად, საერთო განსჯადობა (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) შეეხება პირს, რომელიც არ ცხოვრობს შოტლანდიაში, თუმცა აქვს მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელიც დაყადაღებულია. ასეთ დროს, დავას განიხილავს შოტლანდიაში არსებული ადგილობრივი სასამართლო.⁹¹

5.5 შვეიცარია

შვეიცარია ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოა და განსჯადობის საკითხებს, იქაც ახასიათებს რეგიონული სპეციფიურობა. საინტერესოა, რომ განსჯადობის შესახებ ჩანაწერს ვხვდებით შვეიცარიის კონსტიტუციაში. კერძოდ, შვეიცარიის კონფედერაციის 1999 წლის კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ნებისმიერი პირი, რომლის წინააღმდეგაც აღიმრა სამოქალაქო სარჩელი, არჭურვილია უფლებით, რომ მისი საქმე სასამართლომ განიხილოს მისი ადგილსამყოფელი მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.“⁹² გამოდის, რომ „საერთო განსჯადობის“ ამ ნიშანს, თავად სახელმწიფოს უზენაეს კანონში ვხვდებით, თუმცა მას ახლავს გარკვეული დათქმა და კანონებისთვის ტოვებს კერძო შემთხვევების გადაწყვეტის პრეროგატივას.

უფრო კონკრეტულად, შვეიცარიაში იურისდიქციის საკითხი წყდება „კერძო საერთაშორისო სამართლის შესახებ ფედერალური აქტით“ (FAPIL), რომლის მიხედვითაც სტანდარტულად არსებობს „საერთო განსჯადობა“ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუმცა, ხაზგასასმელია სხვა შემთხვევებიც. კერძოდ, საინტერესოა ამ აქტის მე-3 მუხლი, რომლის მიხედვითაც „თუკი FAPIL პირდაპირ არ მიუთითებს, რომ განსჯადი ქვეყანა შვეიცარიაა და სხვა ქვეყანაზეც შეუძლებელია მითითება, ასეთ დროს რეაგირებას ახდენენ შვეიცარიის იურიდიული და

⁹⁰ 1982 წლის „სამოქალაქო იურისდიქციისა და გადაწყვეტილებათა აქტი“, მეოთხე ცხრილი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1982/27/schedule/4>

⁹¹ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მუდმივი ბიურო, „განსჯადობის შესახებ შედარებითი რეესტრი“, ამერიკის შეერთებული შტატები, გვ. 40, ხელმისაწვდომია აქ: <https://assets.hcch.net/docs/03c39e9f-878b-400d-a359-e70b7937edde.pdf>

⁹² იხ. შვეიცარიის კონფედერაციის 1999 წლის კონსტიტუცია, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19995395/index.html>

ადმინისტრაციული ორგანოები, რათა საქმე განიხილოს იმ სასამართლომ, რომელთანაც საქმეს საკმარისი კავშირი აქვს.⁹³ ამ განსჯადობის ტიპს აქვს სახელწოდება „განსჯადობა საჭიროების მიხედვით“. საინტერესოა აღნიშნული აქტის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ განსჯად სასამართლოზე, თუკი იგი მათ ეკონომიკურ ან სხვა ინტერესში ჯდება, თუმცა ასეთ დროს არ უნდა ირღვეოდეს არც ერთი მხარის უფლება.⁹⁴ აღსანიშნავია, რომ შეთანხმების მიხედვით განსჯადობას საქართველოს სსკ-იც იცნობს. კერძოდ, 21-ე მუხლი განსაზღვრავს განსჯადობის თანხმობის შესახებ წერილობით გაფორმებას.⁹⁵

საინტერესოა შვეიცარიის კანონმდებლობის მიდგომა ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავებთან, რის ფარგლებშიც, განსჯადობის სხვადასხვა პრინციპებია გამოყოფილი. როგორც ვიცით, საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს აკუთვნებს იმ ადგილის განსჯადობას, სადაც იგი შესრულდა, ან უნდა განხორციელებულიყო. ამისგან შვეიცარიის მიდგომას არსებითად არ განსხვავდება, თუმცა ახასიათებს თავისებურებები. კერძოდ:

- **ხელშეკრულების განხორციელების ადგილმდებარეობა** - როგორც FAPIL-ის 113-ე მუხლი აწესრიგებს, თუკი ხელშეკრულების საგნის შესრულების ადგილია შვეიცარია, ასეთ დროს განსჯად ტერიტორიას სწორედ იგი წარმოადგენს. ეს დათქმა თითქმის იდენტურია ჩვენ მიერ განხილულ საქართველოს სსკ-ის მუხლთან და მთლიანად იზიარებს პრინციპს;
- **შრომითი ხელშეკრულება** - FAPIL-ის 115-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხეს რომც არ ჰქონდეს შვეიცარიაში ადგილსამყოფელი, ადგილობრივი სასამართლო ითვლება განსჯადად, თუკი იგი ფიზიკურად შვეიცარიაში ასრულებს სამუშაოს. რაც შეეხება სარჩელის აღძვრას დასაქმებულის მიმართ, იგი შეიძლება განიხილოს შვეიცარიის სასამართლომ, დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.⁹⁶ აღნიშნული

⁹³ 1987 წლის „კერძო საერთაშორისო სამართლის შესახებ ფედერალური აქტის“ მე-3 მუხლი, ხელმისაწვდომია აქ:

https://www.unine.ch/files/live/sites/florence.guillaume/files/shared/publications/pil_act_1987_as_from_1_1_20_17.pdf

⁹⁴ იხ. იმავე აქტის მე-5 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები

⁹⁵ იხ. საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხელმისაწვდომია აქ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143>

⁹⁶ იხ. 1987 წლის „კერძო საერთაშორისო სამართლის შესახებ ფედერალური აქტის“ 115-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ხელმისაწვდომია აქ:

წარმოადგენს ერთგვარ სპეციფიურ მიდგომას, რამდენადაც, დამსაქმებელი მოპასუხედ ჩაითვლება და სარჩელიც მისი ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა იქნას აღძრული. თუმცა, სავარაუდოა, რომ შვეიცარიის კანონმდებლობა, აღნიშნულ ნორმას დასაქმებულს უფლებების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე აწესრიგებს.

ამდენად შვეიცარიის კანონმდებლობა განსახილველი სამოქალაქო საქმეების შესახებ საკმაოდ კონკრეტულია და ბევრი მიმართულებით მოიცავს განსჯადობის ზუსტი ადგილმდებარეობის რეგულირებას.

5.6 ავსტრალია

ავსტრალიაში, როგორც კიდევ ერთ რთულ ფედერალურ სისტემაში, კომპლექსურადაა წარმოდგენილი განსჯადობის საკითხები, რამდენადაც იგი წესრიგდება როგორც შტატების კანონების, ასევე ფედერალური სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად. ძირითადად, ავსტრალიის სასამართლოებში განსჯადობა ვრცელდება შემდეგი სახის საქმეებზე:

- როდესაც მოპასუხე ნებაყოფლობით ეთანხმება, რომ საქმე განიხილოს ავსტრალიის სასამართლომ;
- როდესაც მოპასუსე ცხოვრობს ან დროებით იმყოფება ავსტრალიაში;
- როდესაც ქვეყანაში სრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ან იგი ნაწილობრივ უნდა შესრულდეს ავსტრალიაში;
- როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა შტატია;
- როდესაც სარჩელი აღძრულია დელიქტის შესახებ და იგი ჩადენილია კონკრეტულ შტატში;
- როდესაც სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ ეფუძნება ზიანის ანაზღაურებას და იგი მიყენებულია კონკრეტულ შტატში;

- როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათი დავის გადაწყვეტის ადგილი უნდა იყოს ავსტრალიის სასამართლო.⁹⁷

როგორც ვხედავთ, სხვა ქვეყნების მსგავსად, არც ავსტრალია გვთავაზობს განსჯადობის საერთო წესებისგან რაიმე ფუნდამენტურ განსხვავებას, არამედ იქაც გაზიარებულია „საერთო განსჯადობის“ უნივერსალური წესი, ასევე, „ნივთობრივი განსჯადობისა“ და განსჯადობის შესახებ შეთანხმების წესები.

როგორც ვიხილეთ, განსჯადობის საერთაშორისო პრაქტიკა როგორც შიდაეროვნული, ასევე მულტიეროვნული შეიძლება იყოს. ევროპის კავშირის მაგალითზე, რამდენადაც იგი თავისუფალი გადაადგილების, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაერთიანებაა, საკითხი კიდევ უფრო რთულად მოსაწესრიგებელი, ვიდრე ცალკეული ქვეყნების მაგალითზე. ეს იმიტომ, რომ გამარტივებული გადაადგილებისა თუ ვაჭრობის უფლება, მოსარჩელისთვის მეტად ართულებს სასარჩელო მოთხოვნის დაყენებას სწორ სასამართლოში, რამდენადაც, საერთო განსჯადობის ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა მოპასუხის ადგილმებარეობის დადგენა. ზ/აღნიშნული უფლებები კი, რომლებიც ევროპის კავშირის მოქალაქეს აქვს, დიდი შანსია ართულებდეს მოსარჩელისთვის დავის დაწყებას, რამდენადაც, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს გადამეტებულ ხარჯებთან, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებასთან და სხვა სირთულეებთან. მიუხედავად ამისა, როგორც ევროპის კავშირის კანონმდებელი მიიჩნევს, ერთიანი სისტემის შექმნა არსებითად მაინც მნიშვნელოვანია, რადგან, ასეთი მასშტაბის სივრცე, ნამდვილად მოითხოვს მულტიეროვნული სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და გაღრმავებას.

⁹⁷ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მულტივი ბიური, „განსჯადობის შესახებ შედარებითი რეესტრი“, ამერიკის შეერთებული შტატები, გვ. 4, ხელმისაწვდომია აქ: <https://assets.hcch.net/docs/03c39e9f-878b-400d-a359-e70b7937edde.pdf>

თავი VI. კვლევის შედეგები

წარმოდგენილი კვლევა რამდენიმე მიმართულებით მოიცავს მნიშვნელოვან კომპონენტებს, რის შედეგადაც, სამომავლოდ იგი ნამდვილად უნდა გახდეს განსჯადობის საკითხებთან დაკავშირებით ერთ-ერთი საინტერესო წყარო. ნაშრომის ერთ-ერთი მიმართულება განსჯადობის თეორიული არსის მიმოხილვა, მის შესახებ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების შეკრება და განხილვაა. პროფესიონალი იურისტები და სამართლის თეორეტიკოსები, როგორც ვნახეთ თანხმდებიან, განსჯადობის საკითხის პრობლემატურობაზე და თვინთი ნაშრომების საშუალებით, მის შედარებით გამარტივებას და კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობენ. მიმდინარე კვლევამ მისი სირთულის წარმოჩენის გარდა, მისი გადაწყვეტის გზებით გვაჩვენა და აღნიშნულ ავტორებზე დაყრდნობით, მიმდინარე ნაშრომში გაანალიზებული იქნა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს შორის განსჯადობის მიჯნა.

გარდა ამისა, მიმდინარე ნაშრომში წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა დავადგინოთ ესა თუ ის საქმე არის თუ არა სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის განსჯადი და რას გვეუბნება ამის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. კვლევის შედეგად წარმოჩენილი იქნა, რომ აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს ექვემდებარება სამოქალაქო საქმეების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად. ამასთან, ამავე მუხლში ჩამოთვლილი საქმეების არსის მოკლე მიმოხილვა დაეხმარება მკვლევარებს იმის დადგენაში, თუ რატომ ექვემდებარება ისინი სამოქალაქო სასამართლოს/

ამასთან, კვლევაში წარმოდგენილი და კონსოლიდირებულია განსჯადობასთან დაკავშირებული სასამართლო პრეცედენტები და პრაქტიკა. როგორც ნაშრომშიც აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს განმარტებები განსჯადობის დადგენის უმნიშვნელონავესი წყაროა, რამდენადაც იგი წარმოადგენს პრეცედენტს შემდგომი ურთიერთობებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილებები საინტერესოა მკვლევარებისთვისაც, რამდენადაც მათ სწორედ ამის მიხედვით უნდა ჩამოაყალიბონ მისი თეორიული საფუძველი. შესაბამისად, მიმდინარე კვლევაც კრებს და აანალიზებს მათ. შედეგად წარმოჩნდა, რომ სასამართლოებს შორის დავა განსჯადობის სისწორეზე არაერთხელ ყოფილა, რამაც ჩამოაყალიბა კიდევ ის მიდგომები, რაც დღეისთვის საქმეების განხილვისას არსებობს.

კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს და დატვირთვას წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მაგალითების განხილვა, შედარება და ანალიზი. ამის შედეგად, ვფიქრობ, ნაშრომი საკმაოდ ღირებულია განსჯადობის ზოგადი არსის გააზრების, ასევე სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეების თავისებურებების კუთხით მსოფლიოს ძირითად სამართლებრივ სისტემებში. მაგალითად, ევროპის კავშირის მაგალითზე, ნაშრომმა წარმოაჩინა ის საქმეები, რომლებსაც სამოქალაქო სასამართლოები ზოგადად განიხილავენ და ასევე საკმაოდ საინტერესო - მათი ტერიტორიული პრინციპების ანალიზი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამოქალაქო განსჯადობის არსის განმარტებისათვის, მიმდინარე ნაშრომი საკმაოდ ღირებული მასალაა როგორც მისი თეორიული და პრაქტიკული გააზრების, ასევე სამომავლო კვლევებში გამოყენებისათვის.

დასკვნა

როგორც კვლევამ გვაჩვენა, სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმის დადგენა სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, მას იმპერატიულად აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როდესაც საქმე ეხება საგნობრივი განსჯადობის ნაწილს. როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით განისაზღვრება სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები. თუმცა, იმავე კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილი, ზ/აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ საქმეებს მიაკუთვნებს სამოქალაქო განსჯადობას. როგორც ვნახეთ, ამ მუხლში ჩამოთვლილი თითოეული საქმე თავისი ხასიათიდან გამომდინარე წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლოს განსჯადს, რამდენადაც, ძირითადად აღნიშნული საქმეები ეხება კერძო პირებს შორის დასარეგულირებელ ურთიერთობებს. ამასთან, ზოგერთ შემთხვევაში მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოც, თუმცა, ასეთ დროს დავაში ვლინდება სამართალურთიერთობის მიმართ ამ ორგანოს კერძო სამართლებრივი ხასიათი.

სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეების ცალკე მოწესრიგების მიზანი, მისი სხვა კოლეგიებისგან გამიჯვნაა, რათა საქმის განხილვის პირობებში გაურკვეველობა არიდებული იქნას თავიდან. როგორც ვნახეთ, განსჯადობასთან დაკავშირებული უმთავრესი გამოწვევა, საქმეების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კოლეგიებს შორის სწორი გადანაწილების პრობლემაა. ამ მიმართულებით დასკვნაში შეგვიძლია წარმოვადგინოთ სამი ძირითადი კომპონენტი, რომლის არსებობაც მიუთითებს საქმის სამოქალაქო წესით განსჯადობაზე. ესენია:

1. ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მოქმედება;
2. მხარეთა ნების დამოუკიდებლობა;
3. ურთიერთობის თანასწორუფლებიანი ხასიათი.

აღნიშნული კომპონენტები გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოსთვის სამართლებრივ ურთიერთობაში ისეთი უფლებამოსილებების დატოვებას, რაც დაკავშირებულია მის საჯარო სამართლებრივ ხასიათთან და რაც გამომდინარეობს მისთვის კანონით დადგენილი იმპერატიული ნორმებიდან. შესაბამისად, თუკი სამართლებრივი ურთიერთობა მოკლებულია ასეთ ხასიათს, იგი

კერძოსამართლებრივს უნდა მიეკუთვნოს და განხილული იქნას სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ.

როგორც ნაშრომში იქნა წარმოჩენილი, განსჯადობა ნამდვილად წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს ცივილიზებული ქვეყნების სამართლებრივ პრაქტიკაში, თუმცა დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი სტანდარტები უკვე ჩამოყალიბებული, საერთაშორისოდ აღიარებული და დადგენილია. შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული ქვეყნების მაგალითები საკმაოდ ახლოა ერთმანეთთან და მხოლოდ მცირედი მახასიათებლებით შეიცავს განსხვავებას, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს განსხვავებული ტერიტორიული მოწყობიდან. ამასთან, როგორც კვლევაში არაერთხელ აღინიშნა, საქართველოში არსებული კანონმდებლობა დაახლოებულია უფრო ღრმა სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებთან და ხშირ შემთხვევაში, იმეორებს კიდევ მათ მიერ დადგენილ მოწესრიგებას. შესაბამისად, განსჯადობის ნორმატიული მოწესრიგების კუთხით, ქართული კანონმდებლობა საკმაოდ დახვეწილად და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებულად შეიძლება ჩაითვალოს.